

ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება
#1105/2011/EU

იმ სამგზავრო დოკუმენტების სიის შესახებ, რომლებიც ამ დოკუმენტების მფლობელს ევროკავშირის საზღვრების გადაკვეთის უფლებას აძლევს და რომლებშიც შეიძლება გაცემული იქნას ვიზა და ამგვარი სიის ჩამოყალიბებისთვის საჭირო მექანიზმის დაფუძნების შესახებ ევროპის პარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ,

ითვალისწინებს რა, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების, განსაკუთრებით, მისი 77-ე მუხლის მე-2 პუნქტს,

ითვალისწინებს რა, ევროკომისიის წინადადებას

კანონპროექტის ეროვნულ პარლამენტებში გადაგზავნის შემდეგ,

მოქმედებენ რა ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურების დაცვით [\(1\)](#),

იმის გათვალისწინებით, რომ

- (1) 1985 წლის 14 ივნისს მიღებული შენგენის შეთანხმების განმხორციელებელი კონვენციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის საფუძველზე, SCH/Com-ex (98)56 [\(1\)](#) და SCH/Com-ex (99)14 [\(2\)](#) გადაწყვეტილებების შედეგად ჩამოყალიბდა იმ სამგზავრო დოკუმენტების სახელმძღვანელო, რომლებიც ამ დოკუმენტების მფლობელებს ევროკავშირის საზღვრების გადაკვეთის უფლებას აძლევს და რომლებშიც შეიძლება იყოს გაცემული ვიზა. აღნიშნული გადაწყვეტილებები ევროკავშირის ინსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოზე უნდა იქნას მორგებული.
- (2) მესამე ქვეყნების მიერ გამოცემული სამგზავრო დოკუმენტების სია სისტემატურ მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორგანოებს, რომლებიც სავიზო განაცხადების დამუშავებაზე და სასაზღვრო კონტროლის უზრუნველყოფაზე არიან პასუხისმგებელი, მესამე ქვეყნების მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი სამგზავრო დოკუმენტების შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეთ. წევრ სახელმწიფოებს შორის სამგზავრო დოკუმენტებისა და ამ სახელმწიფოების მიერ ამ დოკუმენტების აღიარების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და ამ დოკუმენტების სრული ჩამონათვალის გამოქვეყნება უფრო თანამედროვე და ეფექტიანი უნდა გახდეს.
- (3) სამგზავრო დოკუმენტების სიას ორმაგი დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, სასაზღვრო კონტროლზე პასუხისმგებელ ორგანოებს ამ სიის მეშვეობით შეუძლიათ იმის დადასტურება, შესაძლებელია თუ არა ამ სამგზავრო დოკუმენტებით ევროკავშირის საზღვრების გადაკვეთა, ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2006 წლის 15 მარტს მიღებული #562/2006 რეგულაციის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის (ა) ქვეპუნქტის

შესაბამისად, რომელიც საზღვრებზე პირების გადაადგილების მარეგულირებელ ევროგაერთიანების კოდექსს (შენგენის საზღვრების კოდექსი) [\(ႁ\)](#) ადგენს; ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული საშუალებას აძლევს საკონსულო პერსონალს შეამოწმოს, აღიარებენ თუ არა წევრი სახელმწიფოები კონკრეტულ სამგზავრო დოკუმენტს მასში ვიზის დატანის მიზნით.

- (4) ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2009 წლის 13 ივლისს ევროგაერთიანების სავიზო კოდექსის (სავიზო კოდექსი) [\(ႂ\) შესახებ](#) მიღებული #810/2009 რეგულაციის 48-ე მუხლის 1-ელი პუნქტის (გ) ქვეპუნქტის მიხედვით, შენგენის ქვეყნებს შორის ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში, მიმღები ქვეყნის მიერ გამოცემული სამგზავრო დოკუმენტების ამომწურავი სია უნდა იქნას შედგენილი.
- (5) უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც სამგზავრო დოკუმენტების სიის მუდმივად განახლებას უზრუნველყოფს.
- (6) სამგზავრო დოკუმენტების უსაფრთხოების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მათი შესაძლო აღიარების გამო, საჭიროების შემთხვევაში, ევროკომისიამ, წევრი სახელმწიფოების ექსპერტების დახმარებით, ტექნიკური შეფასება უნდა განახორციელოს.
- (7) წევრ სახელმწიფოებს აქვთ და უნდა შეუნარჩუნდეთ უფლება, აღიარონ სამგზავრო დოკუმენტები, მათი მფლობელებისთვის ევროკავშირის საზღვრების გადაკვეთის ნებართვის მიცემისა და მათში ვიზის დატანის მიზნით.
- (8) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაავრცელონ ინფორმაცია სამგზავრო დოკუმენტებთან დაკავშირებით მათი პოზიციების შესახებ და სამგზავრო დოკუმენტების სხვადასხვა სახეობებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციების შეჯერებას უნდა შეეცადონ. რადგანაც წევრი სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სამგზავრო დოკუმენტის თაობაზე მისი პოზიციის შეუტყობინებლობის შედეგად ამ დოკუმენტის მფლობელის დაზარალება შეიძლება მოჰყვეს, უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც წევრ სახელმწიფოს ამგვარი დოკუმენტების აღიარებაზე ან არაღიარებაზე საკუთარი პოზიციის გამოთქმას დაავალდებულებს. აღნიშნულმა მექანიზმმა ხელი არ უნდა შეუშალოს წევრ სახელმწიფოებს, ნებისმიერ დროს შეცვალონ თავიანთი პოზიცია ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით.
- (9) გრძელვადიან პერსპექტივაში, უნდა ჩამოყალიბდეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელშიც სამგზავრო დოკუმენტების ყველა ნიმუში იქნება შეყვანილი, რაც სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებსა და საკონსულო პერსონალს კონკრეტული სამგზავრო დოკუმენტების შემოწმებას გაუადვილებს. აღნიშნული მონაცემთა ბაზა მუდმივად უნდა განახლდეს ამა თუ იმ წევრი სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სამგზავრო დოკუმენტების აღიარების ან არაღიარების მხრივ მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.
- (10) ინფორმაციის მიზნით, ევროკომისიამ არარეალური და კამუფლირებული პასპორტების არასრული სია უნდა შეადგინოს, რომელთა შესახებ მას წევრმა სახელმწიფოებმა აცნობეს. არარეალური და კამუფლირებული პასპორტები აღიარებას ან არაღიარებას არ ექვემდებარება. მათ მფლობელებს ევროკავშირის საზღვრების გადაკვეთის უფლება არ აქვთ და აღნიშნულ პასპორტებში არ უნდა იქნას გაცემული ვიზა .

- (11) სამგზავრო დოკუმენტების სიის შედგენისა და განახლებისთვის საერთო პირობების უზრუნველსაყოფად, ევროკომისიას იმპლემენტაციის უფლებამოსილებები უნდა მიენიჭოს. აღნიშნული უფლებამოსილებები გამოყენებული უნდა იქნას ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2011 წლის 16 თებერვალს მიღებული #182/2011 რეგულაციის მიხედვით, რომელიც წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული იმპლემენტაციის უფლებამოსილებების გამოყენების კონტროლის მექანიზმებს და მათ ზოგად პრინციპებსა და წესებს ადგენს [\(7\)](#).
- (12) სამგზავრო დოკუმენტების სიის შესადგენად და განსახლებლად, საკონსულტაციო პროცედურა უნდა იქნას გამოყენებული იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აქტები წარმოადგენს მხოლოდ გაცემული სამგზავრო დოკუმენტების კრებულს.
- (13) რაც შეეხება ისლანდიას და ნორვეგიას, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის შეთანხმების დებულებების გაგრძელებას, ევროკავშირის საბჭოსა და ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ამ ორი სახელმწიფოს შენგენის შეთანხმების განხორციელებასთან, გამოყენებასა და განვითარებასთან ასოცირებას შეეხება [\(8\)](#). აღნიშნული შეთანხმება ევროკავშირის საბჭოს 1999 წლის 17 მაისის 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტების ფარგლებში ჯდება, რომელიც ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებულ გარკვეულ საორგანიზაციო საკითხებს ეხება [\(9\)](#).
- (14) რაც შეეხება შვეიცარიას, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის შეთანხმების დებულებების გაგრძელებას, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის, ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებასთან დაკავშირებით შენგენის კანონმდებლობის (10) განხორციელების, გამოყენებისა და შემუშავების თაობაზე შეთანხმებით, რომელზეც ვრცელდება ევროკავშირის საბჭოს #1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტებში , რომელიც ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება #2008/146/EC-ის მე-3 მუხლთან ერთად უნდა იქნას წაკითხული [\(11\)](#).
- (15) რაც შეეხება ლიხტენშტეინს, წინამდებარე რეგულაცია წარმოადგენს შენგენის შეთანხმების დებულებების გაგრძელებას, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის კავშირის, ევროპის გაერთიანების, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტეინის სამთავროს შორის დადებული ოქმით, რომელიც ეხება ლიხტენშტეინის სამთავროს მიერთებას ევროკავშირის, ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებასთან დაკავშირებით შენგენის კანონმდებლობის განხორციელების, გამოყენებისა და შემუშავების თაობაზე შეთანხმებაზე, . რომელზეც ვრცელდება საბჭოს #1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის (ა), (ბ) და (გ) პუნქტები და რომელიც ევროკავშირის საბჭოს #2011/350/EU გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან ერთად უნდა იქნას წაკითხული [\(12\)](#).
- (16) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის (N22) 1-ელი და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, დანია ამ რეგულაციის მიღებაში არ იღებს მონაწილეობას და ამიტომ მას ამ რეგულაციის აღსრულებასთან დაკავშირებით არავითარი ვალდებულებები არ გააჩნია. იქიდან გამომდინარე, რომ წინამდებარე რეგულაცია შენგენის შეთანხმებაზეა

დაფუძნებული, ზემოხსენებული ოქმის მე-4 მუხლის შესაბამისად, დანამ წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის მანძილზე უნდა გადაწყვიტოს, შეიტანს თუ არა ამ გადაწყვეტილებას თავის ეროვნულ კანონმდებლობაში.

- (17) წინამდებარე გადაწყვეტილება შენგენის შეთანხმების დებულებების გაგრძელებაა, რომელშიც გაერთიანებული სამეფო მონაწილეობას არ იღებს, ევროკავშირის საბჭოს მიერ 2000 წლის 29 მაისს მიღებული #2000/365/EC გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თხოვნას ეხებოდა შენგენის შეთანხმების გარკვეულ დებულებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ([13](#)); აქედან გამომდინარე, გაერთიანებული სამეფო ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს და ამიტომ იგი არ არის პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე.
- (18) წინამდებარე გადაწყვეტილება შენგენის შეთანხმების დებულებების გაგრძელებაა, რომელშიც ირლანდია მონაწილეობას არ იღებს, ევროკავშირის საბჭოს მიერ 2002 წლის 28 თებერვალს მიღებული #2002/192/EC გადაწყვეტილებს მიხედვით, რომელიც დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თხოვნას ეხებოდა შენგენის შეთანხმების გარკვეულ დებულებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ([14](#)); აქედან გამომდინარე, ირლანდია ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს და ამიტომ არ არის პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე.
- (19) რაც შეეხება კვიპროსს, წინამდებარე გადაწყვეტილება წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც შენგენის შეთანხმებაზე დაფუძნებული ან მასთან დაკავშირებული (2003 წლის „მიერთების აქტის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში).
- (20) წინამდებარე გადაწყვეტილება წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც შენგენის კანონმდებლობას ეფუძნება ან სხვა ფორმით, 2005 წლის „მიერთების აქტის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში უკავშირდება.

მიიღო წინამდებარე გადაწყვეტილება:

მუხლი 1

საგანი და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე გადაწყვეტილება იმ სამგზავრო დოკუმენტების სიას ადგენს, რომელთა მეშვეობით მათ მფლობელს ევროკავშირის საზღვრების გადაკვეთა შეუძლია და რომლებშიც შეიძლება გაცემულ იქნას ვიზა (სამგზავრო დოკუმენტების სია) და ასევე განსაზღვრავს ამ სიის შექმნის მექანიზმს.
2. წინამდებარე გადაწყვეტილება ეხება ისეთ სამგზავრო დოკუმენტებს, როგორებიცაა ეროვნული პასპორტი (ორდინალური, დიპლომატიური, სამსახურეობრივი/ოფიციალური ან სპეციალური პასპორტი), საგანგებო სამგზავრო დოკუმენტი, ლტოლვილის ან მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო დოკუმენტი, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტი ან საშვი.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ზეგავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოების მიერ სამგზავრო დოკუმენტების აღიარებასთან დაკავშირებულ კომპეტენციაზე.

მუხლი 2

სამგზავრო დოკუმენტების სიის შედგენა

1. წევრი სახელმწიფოების დახმარებით და შენგენის ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, როგორც ეს ევროკავშირის საბჭოს #810/2009 რეგულაციის 48-ე მუხლის 1-ელი პუნქტის (გ) ქვეპუნქტით არის განსაზღვრული ევროკომისიამ სამგზავრო დოკუმენტების სია უნდა შეადგინოს.
2. სამგზავრო დოკუმენტების სია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საკონსულტაციო პროცედურის შესაბამისად უნდა იქნას შედგენილი.

მუხლი 3

სამგზავრო დოკუმენტების სიის სტრუქტურა

1. სამგზავრო დოკუმენტების სია დაყოფილია სამ ნაწილად.
2. პირველი ნაწილი იმ სამგზავრო დოკუმენტებისგან შედგება, რომლებიც გაცივმა მესამე ქვეყნებისა და ტერიტორიული ერთეულების მიერ, რომლებიც ევროკავშირის საბჭოს მიერ 2001 წლის 15 მარტს მიღებული #539/2001 რეგულაციის 1-ელ და მე-2 დანართებშია ჩამოთვლილი, რომელიც მოიცავს იმ მესამე ქვეყნების ჩამონათვალს რომელთა მოქალაქეები ევროკავშირის საზღვრების გადაკვეთისას უნდა ფლობდნენ ვიზებს და იმ ქვეყნებს, რომელთა მოქალაქეებზე ევროკავშირის საზღვრების გადაკვეთისას არ ვრცელდება აღნიშნული მოთხოვნა (15).
3. მეორე ნაწილი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემული ქვემოთ მოცემული სამგზავრო დოკუმენტებისგან შედგება, მათ შორისაა ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტები, რომლებიც წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობენ და ასევე ისეთი წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტები, რომლებიც შენგენის შეთანხმების ყველა დებულებას არ იყენებენ:
 - (ა) მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული სამგზავრო დოკუმენტები;
 - (ბ) 1951 წლის 28 ივლისის გაეროს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის საფუძველზე ლტოლვილებზე გაცემული სამგზავრო დოკუმენტები;
 - (გ) 1954 წლის 28 სექტემბრის გაეროს მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსის შესახებ კონვენციის საფუძველზე მოქალაქეობის არმქონე პირებზე გაცემული სამგზავრო დოკუმენტები;
 - (დ) სამგზავრო დოკუმენტები, რომლებიც ისეთ პირებზეა გაცემული, რომლებსაც არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ გააჩნიათ და ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ცხოვრობენ;
 - (ე) გაერთიანებული სამეფოს მიერ ბრიტანეთის იმ მოქალაქეებზე გაცემული სამგზავრო დოკუმენტები, რომლებიც ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეებად არ ითვლებიან.
4. მესამე ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტებისგან შედგება.

5. ზოგადი წესის მიხედვით, სიაში შეყვანილი კონკრეტული სამგზავრო დოკუმენტი მის ყველა (მანამდე გაცემულ) მოქმედ სერიას მოიცავს.
6. თუ მესამე ქვეყანა კონკრეტული სახის სამგზავრო დოკუმენტებს არ გასცემს, მაშინ სამგზავრო დოკუმენტების სიაში ეს შემდეგი სახის ჩანაწერით უნდა იქნას აღნიშნული: „არ გაიცემა“.

მუხლი 4

სიაში შეყვანილი სამგზავრო დოკუმენტების აღიარების ან არაღიარების შეტყობინება

1. სამგზავრო დოკუმენტების სიის მიღებიდან 3 თვის განმავლობაში, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ევროკომისიას აღნიშნულ სიაში მოცემული სამგზავრო დოკუმენტების აღიარების ან არაღიარების შესახებ უნდა აცნობონ.
2. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო ევროკომისიას საკუთარ პოზიციას 1-ელ პუნქტში მითითებულ პერიოდში არ აცნობებს, მაშინ კონკრეტული სამგზავრო დოკუმენტი მის მიერ აღიარებულად იქნება ჩათვლილი, სანამ აღნიშნული წევრი სახელმწიფო არ შეატყობინებს ევროკომისიას იმის შესახებ, რომ ის არ აღიარებს ამ დოკუმენტს.
3. მე-8 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული კომიტეტის ფარგლებში, წევრმა სახელმწიფოებმა ერთიანი პოზიციების მიღწევის მიზნით კონკრეტული სამგზავრო დოკუმენტების აღიარების ან არაღიარების საფუძვლების შესახებ ინფორმაცია უნდა გაცვალონ.
4. წევრმა სახელმწიფოებმა ევროკომისიას მათ მიერ კონკრეტული სამგზავრო დოკუმენტის აღიარების ან არაღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ნებისმიერი ცვლილების შესახებ უნდა აცნობონ.

მუხლი 5

გაცემული ახალი სამგზავრო დოკუმენტები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ ევროკომისიას იმ ახალი სამგზავრო დოკუმენტების შესახებ, რომლებიც მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (ა) და (დ) ქვეპუნქტებშია ნახსენები.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ ევროკომისიას მესამე ქვეყნების, წევრი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული ახალი სამგზავრო დოკუმენტების შესახებ, რომლებიც მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (ე) ქვეპუნქტში და მე-3 მუხლის მე-4 პუნქტშია აღნიშნული. ევროკომისიამ წევრ სახელმწიფოებთან ერთად ახალი სამგზავრო დოკუმენტების ნიმუშები უნდა შეაგროვოს, მათი შემდგომი გაზიარების მიზნით.
3. მიღებული შეტყობინებებისა და ინფორმაციის საფუძველზე, ევროკომისიამ სამგზავრო დოკუმენტების სია უნდა განაახლოს და წევრ სახელმწიფოებს ამ დოკუმენტების აღიარების ან არაღიარების შესახებ საკუთარი პოზიციის წარდგენა სთხოვოს, როგორც ეს მე-4 მუხლშია აღწერილი.
4. სამგზავრო დოკუმენტების განახლებული სია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენები საკონსულტაციო პროცედურის მიხედვით უნდა იქნას შედგენილი.

მუხლი 6

ინფორმაცია არარეალური და კამუფლირებული პასპორტების შესახებ

წევრი სახელმწიფოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ევროკომისიამ ე.წ. კამუფლირებული პასპორტების არასრული სია უნდა შეადგინოს და განაახლოს.

მუხლი 7

სამგზავრო დოკუმენტების შეფასება

1. წევრი სახელმწიფოების მიერ სამგზავრო დოკუმენტების ტექნიკური შეფასების ხელშეწყობის მიზნით, ევროკომისიას, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელი ექსპერტების დახმარებით, შეუძლია განახორციელოს სამგზავრო დოკუმენტების ტექნიკური ანალიზი საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის შესაბამისი სტანდარტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.
2. შესაბამის შემთხვევებში, სამგზავრო დოკუმენტების გაცემის პირობებისა და პროცედურების ანალიზიც ამ ჩარჩოში შეიძლება განხორციელდეს.
3. წინამდებარე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში ნახსენები შეფასების შედეგები წევრ სახელმწიფოებს ეცნობება.

მუხლი 8

კომიტეტის მუშაობის პროცედურები

1. ევროკომისიას დახმარებას გაუწევს კომიტეტი (სამგზავრო დოკუმენტებზე მომუშავე კომიტეტი). აღნიშნული კომიტეტი ევროკავშირის საბჭოს #182/2011 რეგულაციის ფარგლებშია განსაზღვრული.
2. როდესაც მითითება გაკეთებულია ამ პუნქტზე ევროკავშირის #182/2011 რეგულაციის მე-4 მუხლი უნდა იქნას გამოყენებული.

მუხლი 9

სიების გამოქვეყნება

ევროკომისიამ სამგზავრო დოკუმენტების სია, მათ შორის, წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 მუხლში აღნიშნული შეტყობინებები და მე-6 მუხლში აღნიშნული სია წევრ სახელმწიფოებსა და საზოგადოებას მუდმივად განახლებადი ელექტრონული გამოცემის საშუალებით უნდა მიაწოდოს .

მუხლი 10

გაუქმება

SCH/Com-ex (98)56 და SCH/Com-ex (99)14 გადაწყვეტილებები გაუქმდება.

მუხლი 11

ძალაში შესვლა

1. წინამდებარე გადაწყვეტილება „ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში“ მისი გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს შევა ძალაში.
2. წინამდებარე გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლის დღიდან ამოქმედდება, მე-10 მუხლის გარდა, რომელიც ევროკომისიის მიერ სამგზავრო დოკუმენტების სიის პირველად გამოქვეყნების დღიდან ამოქმედდება.

მუხლი 12

ადრესატები

წინამდებარე გადაწყვეტილება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შესაბამისი შეთანხმებების ფარგლებში ეხება.

შედგენილია სტრასბურგში, 2011 წლის 25 ოქტომბერს.

ევროპის პარლამენტის სახელით, პრეზიდენტი ი. ბუზევი

ევროკავშირის საბჭოს სახელით, პრეზიდენტი მ. დოვგილევიჩი

⁽¹⁾ ევროპის პარლამენტის 2011 წლის 6 ივნისის პოზიცია (რომელიც „ოფიციალურ ჟურნალში“ ჯერ არ გამოქვეყნებულა) და ევროკავშირის საბჭოს 2011 წლის 23 სექტემბრის პოზიცია.

⁽²⁾ [OJ L 239, 22.9.2000, გვ. 19.](#)

⁽³⁾ [OJ L 239, 22.9.2000, გვ. 207.](#)

⁽⁴⁾ [OJ L 239, 22.9.2000, გვ. 298.](#)

⁽⁵⁾ [OJ L 105, 13.4.2006, გვ. 1.](#)

⁽⁶⁾ [OJ L 243, 15.9.2009, გვ. 1.](#)

⁽⁷⁾ [OJ L 55, 28.2.2011, გვ. 13.](#)

⁽⁸⁾ [OJ L 176, 10.7.1999, გვ. 36.](#)

⁽⁹⁾ [OJ L 176, 10.7.1999, გვ. 31.](#)

⁽¹⁰⁾ [OJ L 53, 27.2.2008, გვ. 52.](#)

⁽¹¹⁾ [OJ L 53, 27.2.2008, გვ. 1.](#)

⁽¹²⁾ [OJ L 160, 18.6.2011, გვ. 19.](#)

⁽¹³⁾ [OJ L 131, 1.6.2000, გვ. 43.](#)

⁽¹⁴⁾ [OJ L 64, 7.3.2002, გვ. 20.](#)

⁽¹⁵⁾ [OJ L 81, 21.3.2001, გვ. 1.](#)